

შეტკობინება მეექვსე

სულიერი პრინციპები, სიცოცხლის გაკვეთილები და წმიდა გაფრთხილებები, ნაჩვენები დავითის ისტორიაში

აღვლელი წერილიდან: 1 მეფ. 16:1–2 მეფ. 24:25; საქმე 13:22, 36

I. დავითის ისტორიაში (1 მეფ. 16:1 – 2 მეფ. 24:25) ჩვენ უნდა დავინახოთ ღმერთის უზენაესი ძალაუფლება და დავითის მიერ ჯვრის გაკვეთილების შეთვისება:

- ა. ღმერთის უზენაესი ძალაუფლების თანახმად დავითი იყო გამოცდილი და მოწონებული იმაში, თუ როგორ იყო ის დაიმედებული ღმერთზე და გაიმარჯვა გოლიათზე – 1 მეფ. 17:1-58:
- იმის წყალობით, რომ დავითს ჰქონდა მწყემსის გამოცდილება, მან ისწავლა დაიმედება უფალზე, ამიტომ, როდესაც მოისმინა თუ როგორ გამოიწვია გოლიათმა, დავითმა შეძლო საულისათვის თქმა: „მწყემსავდა შენი მსახური თავის მამის ცხვარს და როცა ლომი ან დათვი დაგვეცემოდა და ფარიდან კრავს გაიტაცებდა, უკან მივდევდი, ვკლავდი და პირიდან ვგლეჯდი კრავს. ხოლო თუ ჩემზე გამოიწვედა, ფაფარში ჩავავლებდი ხელს და იქვე ვკლავდი... „იეჰოვა, რომელმაც ლომისა და დათვისაგან მიხსნა, ამ ფილისტიმელისაგანაც მიხსნის!“ – მუხ. 34-37.
 - დავითმა უთხრა გოლიათს: „არა მახვილითა და შუბით იხსნის უფალი, ვინაიდან უფლის ბრძოლაა ეს და ჩავაგდებთ ჩვენს ხელში!“ (მუხ. 47); დავითი გამოვიდა გოლიათთან საბრძოლველად (მუხ. 40-48) და მოკლა ის, ესროლა შურდულით ქვა და მოარტყა შუბლში გოლიათს და თავი მოაჭრა თავისივე მახვილით (მუხ. 49-54).
 - დავითის გამარჯვება გოლიათზე იყო ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ ღმერთმა ამოირჩია და სცხო მას; დავითის განცდებიდან გამომდინარე ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, ვინაიდან ჩვენ დღეს ვესწრავით ქრისტეს, თითოეული ასპექტი ჩვენი გარემოცვისა მთლიანად ემორჩილება ღმერთის უზენაესი ძალაუფლების მქონე ხელს – მათე 10:29-31; ფსალ. 31:14-15ა; 39:9; რომ. 8:28-29; ესაია 45:15.
- ბ. ღმერთის უზენაესი ძალაუფლების თანახმად დავითი იყო ამორჩეული როგორც თანმხლები პირი საულის, მაშინდელი მეფის; იმის წყალობით, რომ ეს ორი ადამიანი იყო ერთად, საული იყო მხილებული როგორც ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ღმერთის ნებას, ხოლო დავითი იყო გამოვლენილი როგორც ადამიანი ღმერთის გულის თანახმად – 1 მეფ. 18:6-11ა:
- ის, რომ დავითი გამოიცდებოდა თავის ურთიერთობებში საულთან, აღნიშნავდა, რომ დავითი მუდმივად იყო მოთავსებული ჯვარზე; თითოეული მოგზაურობისას, რომელშიც აგზავნიდა მას საული, დავითი მოქმედებდა კეთილგონივრულად, ამიტომ საულმა დააყენა ის მეომრებზე; ერთხელ, როდესაც დავითი ბრუნდებოდა ფილისტიმელების დამარცხების შემდეგ,

ყველა ისრაელის ქალაქიდან გამოდიდონენ ქალები და უმღეროდნენ ერთმანეთს: „შემუსრა საულმა ათასები, ხოლო დავითმა ათი ათასები“ – მუხ. 5-7.

2. ამ ქებამ არ იმოქმედა დავითზე, მაგრამ მან იმოქმედა საულზე; სოლომონმა თქვა: „ადამიანი გამოიცდება ქებით, რომელსაც შეასხამენ მას“ (იგავ. 27:21); საული ძლიერ გაბრაზდა დავითზე და შეშურდა მისი, საიდანაც ჩანს, რომ ის იყო ადამიანი, მთლიანად ხორცში და აბსოლუტურად კონცენტრირებული თავის ინტერესებზე; იმ დღიდან მოყოლებული საულმა გადაწყვიტა მოეკლა დავითი, ხოლო დავითს არ ჰქონდა დასამალი; თავიდან საულს შეშურდა დავითის, ხოლო შემდეგ დაწყო ფიქრი, თუ როგორ მოეკლა დავითი, ისე რომ არ დაეზიანებინა საკუთარი სახელი – 1 მეფ. 18:10–20:42.
3. როდესაც საული შეეცადა, რომ მოეკლა დავითი, მას არ დაუწყია ბრძოლა ან რაიმე სახის შურისძიება, ის მხოლოდ გაექცა მას; თუ ადამიანი შურს იძიებს თავის გამო და პასუხობს დარტყმით დარტყმაზე, ეს არის რაღაც ხორცისაგან, და მათ, ვინც აკეთებენ ხორცის საქმეებს, არა აქვს წილი ღმერთის სამეფოში – 18:11; შდრ. რომ. 12:19; ეფეს. 4:26; გალ. 5:21, 24.
4. დავითი იყო ადამიანი, რომელიც გულიდან იცნობდა ღმერთის ძალაუფლებას; მეფეთას პირველ წიგნში ჩვენ ვხედავთ, რომ საული დაედევნა დავითს უდაბნოში, რათა მოეკლა ის; დავითს ჰქონდა შესაძლებლობა, მოეკლა საული, მაგრამ მას ეშინოდა ღმერთის და ვერ ბედავდა, დაემხო ღმერთის მიერ დადგენილი ღვთაებრივი წესრიგი – 18:6–26:25.
5. დავითი რომ აჯანყებულიყო საულის წინააღმდეგ, ის გახდებოდა ხალხისათვის მაგალითი ჯანყისა მეფის წინააღმდეგ, რომელიც დანიშნა და დააყენა ღმერთმა; დავითის განწყობა გამოვლინდა იმაში, რომ ის უარს ამბობდა თავის „მეზე“ და ემორჩილებოდა ღმერთის ძალაუფლებას.
6. საულმა გამოავლინა დაუმორჩილებლობა ღმერთისადმი, და ღმერთმა უარყო ის, მაგრამ ეს იყო რაღაც საულსა და ღმერთს შორის; რაც შეეხება დავითს, ის დაემორჩილა ღმერთის ცხებულს, და ეს იყო მისი პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე – 24:4-6; 26:9, 11; 2 მეფ. 1:9-16.
7. თუ ვიღაც გადაიხდის გარკვეულ საფასურს, რათა განიცადოს ჯვრის დამსხვრევა, ჯვრის ქვეშ ცხოვრების მეშვეობით, გაიგებს თავის ბუნებრივ სიცოცხლეს და მიდრეკილებებს და დაიწყებს მუშაობას მათზე, მოაკვდინებს ხორცს და უარს იტყვის საკუთარ თავზე ღმერთის წინაშე, ის აუცილებლად გაიგებს ღმერთის ძალაუფლებას და შეძლებს, მოიყვანოს ღმერთის ძალაუფლება – ასეთია ძირითადი პრინციპი.
8. ახალი აღთქმისეული გაგების თანახმად, დავითი ყოველ დღე ატარებდა ჯვარს ნებისმიერ ვითარებაში; ფილიპ. 3:10-ში ნაჩვენებია, რომ, რათა ვატაროთ ჯვარი, ჩვენ უნდა ვიყოთ განმტკიცებულნი ქრისტეს აღდგომის ძალით; ქრისტე შემოვიდა ჩვენში, რათა ეცხოვრა ჩვენში და ეტარებინა ჯვარი ჩვენ შიგნით – შდრ. ქებ. ქ. 2:8-9, 14.
9. იმ დროს, როდესაც დავითი სწავლობდა ჯვრის გაკვეთილებს, ის ტკბებოდა ღმერთის შეწევნით იოანათანისა და მელქოდის დახმარებით; მათ გარეშე დავითს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ გადარჩენილიყო საულისაგან – 1 მეფ. 20:1-42; 19:11-18.

10. როდესაც ემორჩილებოდა ღმერთის უზენაეს ძალაუფლებას, დავითმა შეითვისა გაკვეთილები ჯვრისა და საბოლოოდ ის არ კარგავდა, არამედ იძენდა და იმარჯვებდა, არ იტანჯებოდა, არამედ ტბებოდა – ფილიპ. 1:19; 3:8-9; 2 კორ. 4:7, 16-18; შდრ. 2:12-14.
11. დავითის ცხოვრება აღნიშნავს დამსხვრეული ადამიანის ცხოვრებას; გარეგანი კაცის დამსხვრევა არის ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებების, ჩვენი „მეს“ დამსხვრევა; წმიდა სულის მიერ წვრთნის მიზანი არის ის, რომ ჩვენ ვიყოთ დამსხვრეული ადამიანი; ღმერთი გვათავსებს ჩვენ ჩვენი სრული უნარობისა და უსუსურობის ადგილას, რათა მან შეძლოს, თავისუფლად ჩანერგოს ჩვენში თავისი თავი მთელი თავისი აურაცხელი სიმდიდრით – 1:8-9; 4:16-18; 12:9-10; ოსია 6:1-3; რომ. 8:28-29; შდრ. იოანე 12:3.

II. დავითი ზრუნავდა ღმერთის საცხოვრებელზე დედამიწაზე, ღმერთის კიდობნის საცხოვრებელზე – 2 მეფ. 6:1–7:29; ფსალ. 132:1-18:

- ა. მიუხედავად იმის, რომ ღმერთს არ უნდოდა, რომ დავითს აეშენებინა ტაძარი, მან გაამზადა მშენებლები, მოედანი და მასალები ტაძრის ასაშენებლად; ღმერთმა ასევე აჩვენა დავითს თავისი სულით ტაძრის ნიმუში, და, სანამ დავითი მოკვდებოდა, მან გადასცა ეს ნიმუში თავის ძეს სოლომონს; ამგვარად, დავითმა აღასრულა თავისი მსახურება, და ის მუშაობდა ღმერთთან ერთად ტაძრის აშენების დასასრულებლად – 2 მეფ. 8:11; 3 მეფ. 7:51; 1 ნეშ. 22:14-16; 29:1-5; 28:11-19; სამქე. 13:22, 36.
- ბ. დავითს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ აეშენებინა ტაძარი ღმერთისათვის (2 მეფ. 7:1-3), მაგრამ ღმერთმა უარი თქვა დავითის კეთილ განზრახვაზე; ღმერთმა გამოგზავნა წინასწარმეტყველი ნათანი, რომ დაესვა დავითისათვის შეკითხვა: „განა შენ უნდა ააშენო სახლი ჩემს სამყოფლად?“ – მუხ. 5:
 1. ეს გვიჩვენებს, რომ მთელი ჩვენი სამუშაო და მთელი ჩვენი მსახურება ეკლესიაში უნდა იყოს ინიცირებული ღმერთის მიერ და უნდა შეესაბამებოდეს მის სურვილს; ყველაფერი, რაც ინიცირებულია ან დაწყებულია ადამიანის მიერ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა დონეზეა ეს განკუთვნილი ღმერთისათვის, არის რელიგიური მოღვაწეობა; რომელსაც აკლია ქრისტეს თანდასწრება.
 2. ჩვენი გულის სურვილი, ვემსახუროთ ღმერთს მისაღებია, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება, გავაკეთოთ რაღაც მისთვის, მიუღებელია; ღმერთმა უთხრა დავითს: „შენ?...“ ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენ მივიღოთ რაიმე სახის გადაწყვეტილება მის ნაცვლად.
- გ. ვინაიდან დავითი იყო ადამიანი, რომელსაც ეშინოდა ღმერთის და თანამშრომლობდა ღმერთთან, ის არ გაბრაზებულა, როდესაც ღმერთმა უთხრა მას ნათანის მეშვეობით, გაჩერებულიყო თავის გადაწყვეტილებაში, რომ გამხდარიყო ის, ვინც ააშენებდა ტაძარს; ის, რომ დავითმა შეწყვიტა თავისი სურვილის განხორციელება, აეშენებინა ტაძარი, არის რაღაც შესანიშნავი; და მარგარეტ ბარბერმა თქვა: „ვისაც არ შეუძლია შეაჩეროს მუშაობა ღმერთისათვის, მას არ შეუძლია იმუშაოს ღმერთისათვის (ვიტნეს ლის ნაშრომთა კრებული, 1953, ტ. 1, „ვიცოდეთ სიცოცხლე და ეკლესია“) – ლუკა 10:38-42.
- დ. იმან, რომ დავითი გაჩერდა, დაადგინა ორმაგი მოწმობა სამყაროში: პირველ რიგში, მთელი სამუშაო სამყაროში უნდა გამოდიოდეს ღმერთიდან, და არა ადამიანიდან; მეორე, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რასაც აკეთებს ღმერთი

ადამიანისათვის, და არა ის, რასაც აკეთებს ადამიანი ღმერთისათვის – 2 მეფ. 7:11-14ა, 18, 25.

- ე. ჩვენ ღრმად შიგნით უნდა გავითავისოთ, რომ ღმერთს უნდა მიიღოს მხოლოდ ჩვენი თანამშრომლობა; ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენ გავაკეთოთ რაღაც მისთვის; ჩვენ უნდა გავაჩეროთ ჩვენი ყველა მოსაზრება, გადაწყვეტილება და იდეა; ჩვენ ნება უნდა მივცეთ მას, ილაპარაკოს, ნება მივცეთ მას შემოვიდეს და ნება მივცეთ მას, გვიბრძანოს – მათე 17:5.

III. მონათხრობი ღმერთის სამსჯავროზე და სასჯელზე დავითთან დაკავშირებით დაწერილია როგორც გაფრთხილება ჩვენთვის დღეს (1 კორ. 10:11); ღმერთი არის არა მარტო მოყვარული და მოწყალე, ის ასევე არის სამართლიანი და საშინელი; ღმერთმა აპატია დავითს, მაგრამ მან ამასთან ერთად დაუქვემდებარა ის წვრთნას და სასჯელს თავისი სამთავრობო სამართლიანობის თანახმად (2 მეფ. 12:10-14):

- ა. მას შემდეგ, რაც ისრაელის ყველა მტერი იყო დამორჩილებული და დავითი ამალგებულ იქნა როგორც მეფე ისრაელისა, დავითმა ჩაიდინა მძიმე ცოდვები, როდესაც ის იმყოფებოდა მშვიდობიან ვითარებაში, – მრუშობა და მკვლელობა; აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველთვის, როდესაც ჩვენ აღმოვჩნდებით უზრუნველ, მშვიდობიან ვითარებაში, ჩვენთვის იოლია, ავყვეთ ცდუნებას, და დავემორჩილოთ ჩვენი ხორცის გულისთქმას – 11:1-27; 1 პეტ. 4:1 და შენიშვნა 4.
- ბ. დავითის ცოდვა იყო შედეგი იმისა, რომ ის ემორჩილებოდა თვალთა გულისთქმას და ხორცის გულისთქმას (2 მეფ. 11:2-3); დავითმა ბოროტად გამოიყენა თავისი სამეფო ძალაუფლება (მუხ. 4-5), ჩაიდინა განზრახ მრუშობა, მოიტაცა სხვისი ცოლი.
- გ. მას შემდეგ, რაც ჩაიდინა ასეთი დანაშაული, დავითი შეეცადა დაემალა თავისი ბოროტი ქმედება ცბიერი მოქმედების მეშვეობით (მუხ. 6-13); შემდეგ მან მოკლა ურია, თავისი ერთგული მსახური, საიდუმლოდ მიწერა წერილი იოაბს და გაურიგდა, რათა შეერთო ცოლად ურიას ცოლი (მუხ. 14-25; 12:9).
- დ. თავისი ერთი ცოდვით დავითმა დაარღვია ათი აღთქმიდან ბოლო ხუთი აღთქმა (გამ. 20:13-17); მისი ცოდვა იყო სერიოზული შეურაცხყოფა და დანაშაული ღმერთთან დაკავშირებით, და მან თითქმის არაფრამდე დაიყვანა მთელი მისი წარსული მიღწევები.
- ე. დავითმა, ადამიანმა ღმერთის გულის თანახმად (1 მეფ. 13:14), მისცა ღმერთს შესაძლებლობა, დაეწყო მეფეების მმართველობის საუკუნე იმ მიზნით, რომ განემტკიცებინა ღმერთის სამეფო დედამიწაზე მისი მომავალი ქრისტესათვის, მაგრამ მან განიცადა მარცხი ხორცის გულისთქმების მორჩილების საკითხში (3 მეფ. 15:5); ამ საკითხში დავითმა გამოავლინა დაუდევრობა და მსხვერპლად გაიღო თავისი მაღალი მიღწევები თავის სულიერ სწრაფვაში ღმერთისადმი; ეს უნდა იყოს გაფრთხილება ყველა ჩვენგანისათვის.
- ვ. რა სამწუხაროა, რომ ცდუნების კრიტიკულ მომენტში მაცდურის მხრიდან დავითმა არ გამოავლინა თავშეკავება თავის გულისთქმასთან მიმართებით, არამედ დაემორჩილა მას და ჩაიდინა მძიმე ცოდვა, რამაც უკიდურესად შეურაცხყო ღმერთი!
- ზ. ღმერთს უყვარს დავითი, მაგრამ თავისი ცოდვის გამო დავითმა დაკარგა თავისი მდგომარეობა და სტატუსი, და ასევე თერთმეტი ტომი თორმეტიდან (2 მეფ. 20:1-2); დავითის ცოდვამ დათესა სოლომონის გახრწნილობის თესლი (12:24), რომელმაც გაიიწვია ღმერთისაგან მოცემული სამეფოს დაყოფა (3 მეფ. 11:9-13; 12:1-17), და სამეფოში სოლომონის მემკვიდრეების ხრწნილების თესლი, რომელმაც

საბოლოოდ მიგვიყვანა იმასთან, რომ მათ დაკარგეს თავიანთი სამეფო და წმიდა მიწა თავიანთი მამებისა, იმის შედეგად, რომ წმიდა ხალხი ყოფილიყო დატყვევებული და რომ ისინი ყოფილიყვნენ გაფანტული მთელ დედამიწაზე და დღევანდელ დღემდე დაეკარგათ მოსვენება.

- თ. დავითის ისტორიიდან შეიძლება დავინახოთ ის, რომ აღმოვჩნდეთ ღმერთის სამთავრობო ხელის ქვეშ – არის რაღაც სერიოზული (2 მეფ. 12:10-14); დავითმა ძალიან სწარაფად აღადგინა თავისი ურთიერთობა ღმერთთან, მაგრამ ღმერთის სასჯელი გაგრძელდა მისი სიკვდილის შემდეგაც (მუხ. 15ბ–20:26).
- ი. იმის შედეგად, რომ დავითმა აღიარა თავისი ცოდვა, მისი ურთიერთობა ღმერთთან იყო აღდგენილი, როგორც ნახვევებია 51-ე ფსალმუნში, მაგრამ ის აღმოჩნდა ღმერთის სამთავრობო ხელის ქვეშ; მისი მარცხის შემდეგ მის ოჯახში მოხდა მრავალი ბიწიერი რამ, მათ შორის სისხლის აღრევა, მკვლელობა და ჯანყი – 2 მეფ. 12:15ბ–20:26.
- კ. ღმერთმა დაუქვემდებარა დავითი მკაცრ სასჯელს, რადგან მისი ცოდვა იყო უკიდურესად მანკიერი; სათავე ამ უპრეცედენტო ბოროტებისა დავითის ოჯახში იყო დავითის მიერ ხორცის გულისთქმას დამორჩილება; აქედან ჩანს, რომ ღმერთის აღმზრდელობითმა და სამთავრობო ზომებმა მის მოყვარულებთან დაკავშირებით შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ შვილებზეც კი.
- ლ. ეს უნდა გახდეს ჩვენთვის სერიოზული გაფრთხილება საფრთხესთან დაკავშირებით და სიფრთხილე ჩვენს ურთიერთობებში ქრისტესთან; ის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, რაც ჩვენ გვინდა, რისი გაკეთებაც გვავს განზრახული და თუ როგორ ვიქცევით, მრავალ საკითხში დაკავშირებულია იმასთან, ვრჩებით თუ არა ქრისტეში და მონაწილეობას ვღებულობთ თუ არა მის მთელ აურაცხელ სიმდიდრეში ჩვენი ტკობისათვის; თუ ჩვენ არ ვიქნებით მართლები ღმერთთან მიმართებით ამ საკითხებიდან რომელიმეში, ჩვენ განვიცდით დანაკარგს ქრისტესი როგორც ჩვენი ტკობისა.
- მ. ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც ჩვენი საცხოვრებელი, ჩვენი ყოვლისმომცველი კეთილი მიწა და ყველაფერი აუცილებელი ჩვენთვის ჩვენი ტკობისათვის ამოგვანთხევს ჩვენ თავისი თავიდან და აღარ მოგვცემს ნებას, რომ დავტკბეთ მისით, თუ ჩვენ არ ვართ სათანადოები ჩვენს დამოკიდებულებაში მასთან – ლევ. 18:25; გამოცხ. 3:16.
- ნ. საბოლოოდ დავითი არა მარტო დაბერდა – ის ჩაქრა; დავითის ცხოვრებას ჰქონდა კარგი დასაწყისი, მსგავსი ამომავალი ნათელი მზისა, და მისი ცხოვრება მის მიღწევებთან ერთად ჰგავდა მზეს, რომელც ანათებს შუადღეს; მაგრამ მის მიერ ხორცის გულისთქმებს დამორჩილებამ (2 მეფ. 11:1–27) დაახიანა მისი მიღწევები და მიიყვანა იმასთან, რომ მისი ნათელი სიცოცხლე ჩაქრა, მსგავსად მზისა დროს მიწურულს; დავითის სიბერეში არ იყო არაფერი ნათელი, გამორჩეული ან დიდებული (3 მეფ. 1:1-4; შდრ. რჯლ. 34:7; დაბ. 48:14-16; იგავ. 4:18).
- ო. ქრისტიანული ცხოვრება არის ცხოვრება რომელშიც ჩვენ ვიცნობთ ღმერთის მიმართველობას; ჩვენ ვიმკით იმას, რასაც ვთესავთ; რაც უფრო დიდსულოვნები ვიქნებით სხვებისადმი, უფრო დიდსულოვანი იქნება ღმერთი ჩვენ მიმართ; თუ ჩვენ ყველაფერს გამოვეკიდებით და მკაცრები ვიქნებით ჩვენს ძმებთან მიმართებით, ღმერთიც ყველაფერს გამოვეკიდება და მკაცრი იქნება ჩვენ მიმართ; როდესაც სხვები ავად არიან ან აღმოჩნდნენ პრობლემების წინაშე, ამ დროს ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, ნაცვლად იმისა, რომ გავაკრიტიკოთ ისინი – გალ. 6:7; 1 თეს. 5:14-15; ლუკა 6:36-38; მათე 7:1-2.

1. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ვიყოთ დიდსულოვნები და მპატიებელი ადამიანები; თუ ჩვენ ვიქნებით მკაცრები სხვებთან მიმართებით, ღმერთი იქნება მკაცრი ჩვენთან მიმართებით; ჩვენ უნდა გავექცეთ იმას, რომ გავაკრიტიკოთ სხვები, მსჯავრი დავდლოთ მათ ან ვილაპარაკოთ სხვებზე დაუფიქრებლად. ჩვენი კრიტიკა და დაუღვევარი შენიშვნები სხვების მისამართით ხშირად ხდება სამსჯავრო ჩვენს თავზე – 6:15; 18:23-35.
2. მრავალი ძმა დღეს ძალიან დაბლა დაეცა ერთი მიზეზის გამო – წარსულში ისინი ძალიან მკაცრად აკრიტიკებდნენ სხვებს, და დღეს მათი მრავალი სისუსტე არის ის სისუსტეები, რომლებსაც ისინი აკრიტიკებდნენ წარსულში.
3. ჩვენ ვართ მოწოდებულნი იმისათვის, რომ ვაკუროთხოთ სხვები, რადგან ჩვენ, კუროთხეულმა ადამიანებმა, ყოველთვის უნდა ვაკუროთხოთ სხვები, რათა დავიმკვიდროთ კუროთხევა; ჩვენ დავიმკვიდრებთ იმას, რითიც ვაკუროთხებით სხვებს – 1 პეტ. 3:8-11; მათე 10:13; შდრ. რიცხ. 6:22-27.